

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

ქვეპროგრამების შესახებ (2015 წელი)

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 3300

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

1. პრიორიტეტი- განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი-სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა 3303

პროგრამის განმახორციელებელი-საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საგანმანათლებლო დაწესებულებები

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
33 03	პროგრამა-სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	14 160.0	15 888.3	15 877.4	99.9%	8376.9

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

ხელი შეეწყო: ევროპისა და აშშ-ს სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებული სტუდენტების სწავლას, ასევე სტუდენტთა პროფესიული განათლების პროგრამის მიმართულებით, პროექტებს - საერთაშორისო მუსიკალური კონფერენცია „მუსიკალური იდენტობა და კულტურული გზაჯვარედინი“ და „კამერული ანსამბლების მეორე ეროვნული კონკურსი“, საგანმანათლებლო პროექტს „ეტალონს“; 5 დიპლომატი რეჟისორის მივლინებას რეგიონების თეატრებში დადგმების განსახორციელებლად. რეგიონებიდან შერჩეულ 10 მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებულ მოსწავლის სწავლას პანსიონის ხარჯით; საქართველოს 4 სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების: სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი - 43 მაგისტრანტის სწავლას; სსიპ თბილისის სამხატვრო სასწავლებლის გათბობის სისტემის მოწესრიგებას.

- **განხორციელდა:** პროექტი „სერგო ქობულაძის სახელოსნოს ინვენტარიზაცია , კაბინეტის მოწყობა“, და სტუდენტური ქორეოგრაფიული ფესტივალი „ტერფსიქორე-2015“, „მეექვსე საერთაშორისო სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსი“.

დასახული საბოლოო შედეგები

საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მიღწევების აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში და სხვა ფორუმებში მოპოვებული წარმატებებით;

საქართველოს დიპლომებისა და ატესტატების მობილობა და ვალიდობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველოს სახელოვნებო განათლების საერთაშორისო სახელოვნებო განათლების სივრცეში ინტეგრირების განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები - სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობით გაიმართა ღია და დახურული კონცერტები, მასტერკლასები და ვორქშოპები, გამოფენები, სტუდენტური სპექტაკლის ჩვენებები, შეირჩა საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა კანდიდატურები, ხელი შეეწყო საქართველოს სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრანტებს სამაგისტრო პროგრამის დაუფლებაში, სტუდენტების სწავლას საქართველოში და უცხოეთში.

საბოლოო შედეგების ინდიკატორი

კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრების მოღვაწეობა საზღვარგარეთ, საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა და მათ მიერ მოპოვებული წარმატების, დიპლომებისა და პრიზების რაოდენობა.

სამაგისტრო პროგრამებს დაეუფლა საქართველოს 4 სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 43 მაგისტრანტი, ასევე დაფინანსდა რეგიონებიდან შერჩეული მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებული (10) მოსწავლის სწავლის ხარჯი.

სახელოვნებო განათლების სფეროში განხორციელებული, კონცერტების, სპექტაკლების, გამოფენების და სხვა კულტურული ღონისძიებების რაოდენობა: კონცერტი (457); სტუდენტური სპექტაკლის (21) და ფილმის (9) ჩვენება; გამოფენა (59), მასტერკლასი და ვორქშოპი (134); სამეცნიერო კონფერენცია (23); საღამო (38); სტუდენტებისა და მოსწავლეების მიერ საქართველოსა და უცხოეთში გამართულ 87 კონკურსსა და ფესტივალში მოპოვებულია 114 ჯილდო, მათ შორის: 4 გრან-პრი, 26 – I პრემია, 21 – II პრემია, 17 – III პრემია, 1 - ოქროს მედალი, 1 - ვერცხლის მედალი, 1 - ბრინჯაოს მედალი, 17 პრიზი, 3 ფულადი ჯილდო, 23 დიპლომი; საქართველოს 14 სკოლისგარეშე და უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწალებლის კურსდამთავრებული წარმატებით აგრძელებს სწავლას უცხოეთის წამყვან

სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლებში ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე; განხორციელდა 75 საერთაშორისო პროექტი ქართული სახელოვნებო სკოლის საერთაშორისო სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების მიმართულებით. საქართველოს 3 სახელოვნებო საგანმანათლებლო უმაღლესი დაწესებულების 57 სტუდენტი დაეუფლა პროფესიული განათლების პროგრამას. 14 სტუდენტის სწავლას ევროპისა და აშშ-ს სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში;

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება არ არის დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის.

2. პრიორიტეტი - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

2.1. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი-საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა 3301

პროგრამის განმახორციელებელი-საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აპარატი

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
33 01	პროგრამა-საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5 887.0	5 670.1	5 659.5	99.8%	0

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია.

2.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი-ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 3302

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ანსამბლები, სახელმწიფო და დრამატული თეატრები

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთ. სახსრები დან. მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
33 02	პროგრამა-ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	58 105.0	57 300.3	56 968.9	99.4%	16254.4

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

მონაწილეობა მიიღო: სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის“ სტუდენტებმა და ააიპ „ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციამ „შავფაროსნები“ საქართველოში აკრედიტებული რეზიდენტი და არარეზიდენტი ელჩებისა და მათი მეუღლეების აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში; სსიპ "კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა" ბელარუსში, ქ. მინსკში საერთაშორისო თეატრალურ ფორუმზე "TEART", ანსამბლმა „შვიდკაცა“ ქ. მილანში კულტურულ ღონისძიებებში და სხვ.

ჩატარდა: პოლონეთში, ქ. გდანსკში ქართული კვირეული, შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი, ჯანსუღ კახიძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფესტივალი, „Kavkaz Jazz Festival 2015“, "ბათუმის მუსიკალური ფესტივალი", საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ლამის სერენადები“, თბილისის ჯაზ-ფესტივალი, თბილისის კამერული მუსიკის X ფესტივალი, "თბილისი 2015 თანამედროვე მუსიკის საღამოები", „თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი“, "თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი 2015", „ბაროკოს ეპოქის მუსიკის ფესტივალი“, თბილისის XVIII საერთაშორისო ფესტივალი "სახალწლო მუსიკალური შეხვედრები", ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „სითი საუნდი“; UNESCO-ს მიერ დაწესებული ჯაზის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად რუსთაველის თეატრში რონ კარტერის ბენდის „Golden Striker

Trio“ კონცერტი, სსიპ -საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის პროექტი „გია ყანჩელის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი ბრიუსელში“; თბილისის მე-9 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი "ამირანი", „სავტორო კინოს ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალი“, საერთაშორისო ფესტივალი "თოფუზი", საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი "ოქროს პეპელა - 2015", ანიმაციური ფილმების მე-5 საერთაშორისო ფესტივალი "ნიქოზი", თბილისის მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალი, მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალი "წმინდა ანდრეას ჯვარი", საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი "CineDOC-Tbilisi", ოპერატორთა ფესტივალი „ოქროს თვალი“, "თბილისის ფოტო ფესტივალი 2015", ფოტოკვირეული "ქოლგა თბილისი ფოტო"; მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "საჩუქარი", თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, „თბილისის მეორე საერთაშორისო ტრიენალე - თვითორგანიზებადი სისტემები“, ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი "Fest I Nova", სსიპ -საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონი“ კონცერტი; ანსამბლის „ქართული ხმები 2“ კონცერტები ლიტვა, ლატვიასა და ესტონეთში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით; უკრაინაში, ქ. კიევში თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით „თეატრალური კვარტეტის“ კონცერტი; თამარ ივერის საქველმოქმედო კონცერტი 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად; თბილისის საკონცერტო დარბაზში ნინო მაჩაიძის კონცერტი; სსიპ-„ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის წინასახალწლო, ა(ა)იპ პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდის „იავნანა“ საქველმოქმედო გალა კონცერტი ქ. სტრასბურგში; ქ. თბილისში რეგიონალური კონფერენცია - „თემების მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიული ქალაქებისთვის (COMUS) და ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურისა და კრეატიულობის პროგრამა“. კონფერენციის მსვლელობისას ევროკომისიამ ასევე გამართა პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ („Creative Europe“) პრეზენტაცია. ღონისძიების ფარგლებში თბილისს ესტუმრნენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების კულტურის სამინისტროების ხელმძღვანელი პირები, პროექტში ჩართული ისტორიული ქალაქების მერები, პროგრამის კოორდინატორები, ჟურნალისტები, ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის წარმომადგენლები. ღონისძიება გაიმართა შემდეგი ინსტიტუციების მხარდაჭერით: ევროკომისია, ევროპის საბჭო, ბრიტანეთის საბჭო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ქალაქ თბილისის მერია და დუშეთის მუნიციპალიტეტი; თბილისის წიგნის მე-17 საერთაშორისო ფესტივალი 60-ზე მეტი გამომცემლობის მონაწილეობით; თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი ქართველი, პოლონელი, ფრანგი, იტალიელი, ბელორუსი, ავსტრიელი, ამერიკელი, ბრიტანელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ლიტველი, ხორვატი, კანადელი, რუსი, ირანელი მწერლების მონაწილეობით, ჩატარდა 3 ლიტერატურული კონკურსი („წერო“, გ. ჩოხელის და ვ. კოტეტიშვილის სახელობის); ბორის პასტერნაკისადმი მიძღვნილი კვირეული; ნ დუმბაძის სახ. მოზარდ მაცურებელთა თეატრის გასტროლი ახალციხეში; მესხეთის თეატრში ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა; ხელოვნების სასახლეში იაკობ ტრიპოლსკისადმი მიძღვნილი გამოფენა; დაიდგა 42 სპექტაკლი („თეატრის მკეთებელი“, „პინოქიო“, „გამოღვიძება“, „გატეხილი ქოთანია“, „კომბლე“, „ზოგჯერ ანგელოზსაც მეძახიან“, „ბაში-აჩუკი“, „სამეფო, ძველთა-ძველო“, „სიყვარული ძნელია“, „დედა დედოფალი“, „უდღეური

დღეობა“, „ფან დოს მაგორია“, „აკაკი წერეთელი“, საახალწლო „კარნავალი“ და ა.შ.); შეიქმნა ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრის საიმპიჯო-საპრეზენტაციო ფილმი, გაიმართა 5 თეატრის გასტროლი საქართველოს რეგიონებში და 2 გასტროლი უცხოეთში. სამინისტრომ გასცა პრემიები „წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები“ და „წლის საუკეთესო მუსიკათმცოდნეობითი ნაშრომი“; კონკურსი „ახალი საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებები“; რ. ბარდიმაშვილის საიუბილეო სადამო-კონცერტი; კომპოზიტორ ს. ცინცაძის საიუბილეო კონცერტი; კომპოზიტორ ჯ. სეფიაშვილის შემოქმედებითი კონცერტი საქართველოს პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი, საახალწლო თეატრალური კარნავალი, მომზადდა მხატვრულ-დოკუმენტური სპექტაკლი „აკაკი“, თბილისში გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამო.

განხორციელდა: ქუთაისის ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლის "ბერმუხა" გასტროლი საბერძნეთში ქ. ათენში; სსიპ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები ბრატისლავა, სიბიუსა და სკოპიეში; სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის გასტროლები ამერიკის შეერთებულ შტატებში (ქ. ნიუ-იორკი) და რუმინეთში (ქ. ბუქარესტი); სამეფო უბნის თეატრის გასტროლი ბრიუსელში, სსიპ "შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის" გასტროლი ქ. ლონდონში, სპექტაკლით ჟ. ანუის "ანტიგონე", ნინო ქათამაძის ჯგუფის „ინსაითი“, ანსამბლის „შვიდკაცა“ და ნიკოლოზ რაჭველის გასტროლი უკრაინის სამ ქალაქში, „თბილისის ყოვლადწმინდა საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის“ გასტროლი შვეიცარიასა და გერმანიაში, პროექტი „წერილები“; პროექტი "მზე და ზღვა"; სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის პროექტები „ახლად ილუსტრირებული აკაკი წერეთლის კრებული“ და „აკაკი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში“; სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ პროექტი „დრეზდენის საერთაშორისო პლენერი, პრაქტიკა, მასტერკლასი“ (გერმანია, ქ. დრეზდენი); სსიპ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის პროექტები - „ქართული ნაციონალური ბალეტი პირამიდების ფონზე“ და „საგასტროლო ტური ამერიკის შეერთებულ შტატებში“ (ნიუ-იორკი, ფილადელფია); პროექტი "ქართული მრავალხმიანობის ფენომენი"; სსიპ „ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის“ პროექტი „რწყილი და ჭიანჭველა“ (კვარტეტის იბერი საკონცერტო ტურნე გერმანიაში), ა(ა)იპ ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვნება ახალგაზრდული კავშირის მიერ პრადის კვადრიენალე 2015-ში საქართველოს მონაწილეობა ნაციონალური პავილიონით - „ქალის ხმა“; პროექტი "ექსტრემალური ტერიტორიები" (სადაც მონაწილეობას იღებდა საქართველოდან, საფრანგეთიდან და უკრაინიდან 18 ხელოვანი სტუდენტი); პროექტი „მშვიდობა კავკასიაში“ (9 აპრილთან დაკავშირებით ირევნის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრის მიერ სპექტაკლის „დიდრო“ ჩვენება); სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაცურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“-ს პროექტები

„საახალწლო თეატრალური კარნავალი და მხატვრულ დოკუმენტური სპექტაკლი „აკაკი წერეთელი“; სსიპ თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ოცნებების რეალიზაცია თოჯინების თეატრთან ერთად“; სსიპ "მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი"-ს პროექტები "ნინო ხარატიშვილის სპექტაკლი მრისხანება" და უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“, სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის“ პროექტი „მოდრაობის ტექნიკის ვორკშოფი“; პროექტი „ქართული ქვილთის აღორძინება და მისი პოპულარიზაცია საზღვარგარეთ“, სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის“ პროექტი: „ქართული ფილმების რეტროსპექტივა ტორონტოში“; საქართველოს პრეზენტაცია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 39-ე სესიის ფარგლებში, ა(ა)იპ „ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის“ პროექტი - „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“, ეთნო ჯაზ-ჯგუფის „ირიას“ პოლონეთში სტუდიური ალბომის ჩაწერა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ბრიტანეთის საბჭოს თანამშრომლობით პროექტი - ზოგადი ინგლისური ენის კურსი ხელოვნებისა და კულტურის მენეჯერებისთვის (თეატრების, საგამოფენო დარბაზების, კინემატოგრაფიის სფეროში, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში არსებული ორგანიზაციებისთვის), ტესტირების შედეგად შეირჩა 12 მონაწილე, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ ესწავლათ უფასოდ. კურსის მონაწილეებს გადაეცათ კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

2015 წლის 24 თებერვალს, ქ. ბრიუსელში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და ევროკომისარმა განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის საკითხებში ტიბორ ნაბრაჩიჩმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საქართველო ევროკავშირში პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ წევრი გახდა, შესაბამისად საქართველოში ჩამოყალიბდა „საქართველოში შემოქმედებითი ევროპა“ ოფისი;

2015 წლის 17 აპრილს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „შემოქმედებითი ევროპის“ ლიტვის ოფისის ხელმძღვანელმა ეგლე დელტუვაიტემ ევროკავშირის პროგრამის “შემოქმედებითი ევროპა“ (Creative Europe) შესახებ პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციის ფარგლებში კაუნას ბიენალეს („შემოქმედებითი ევროპის“ მიერ დაფინანსებული პროექტი), ხელმძღვანელმა ქალბატონმა ვირგინია ვიტკიენემ კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს გაუზიარა თავისი გამოცდილება “შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვებაში; პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით გაიმართა 7 საინფორმაციო შეხვედრა პოტენციულ ბენეფიციარებთან;

ეროვნულ დონეზე ცნობადობის ამაღლების მიზნით დაიბეჭდა სარეკლამო/საინფორმაციო მასალა;

ჩატარდა პოლონურ-ქართული სემინარი. დელეგაციას პოლონეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე მონიკა სმოლენი ხელმძღვანელობდა. სემინარის მთავარი თემები იყო: კულტურის მენეჯმენტის დაფინანსება, კულტურის

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისა და პოლონეთის რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები;

შემუშავდა კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც ითვალისწინებს ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და კულტურის პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ მიზნებსა და ამოცანებს. მუშაობის პროცესში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თბილისი მარიოტში, ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან გამართულ საჯარო შეხვედრებზე, დედაქალაქსა და რეგიონებში;

2015 წელს თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით გაიმართა 11 რეგიონული შეხვედრა (აპარატი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1128 მოქალაქემ, 17 შეხვედრა- თბილისში, კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთან და მიზნობრივ ჯგუფთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 460-მა მოქალაქემ, კაჭრეთში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან. ჩატარდა უწყებათაშორისი კომისიისა და სამუშაო ჯგუფის 3 სამუშაო შეხვედრა, შეხვედრა სამინისტროს სსიპ-ებთან;

შემუშავდა სპეციალური კითხვარი და ჩატარდა ინტერნეტ გამოკითხვა. შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ოფიციალური წერილები გაიგზავნა სხვადასხვა სამთავრობო უწყებასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანიზაციასთან, პოლიტიკურ პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან. დოკუმენტის სამუშაო ვერსია გასაჯაროვდა და ხელმისაწვდომი გახდა ელექტრონული საშუალებებით (ვებ-გვერდი, ვიკიპედია, ელ.ფოსტა);

კულტურის პოლიტიკის საკითხებზე ევროკავშირის წამყვანი ექსპერტებმა გამოცდილება გუზიარეს და ტრენინგი ჩაუტარეს კულტურის სამმართველოს თანამშრომლებს და სხვა. კულტურის სფეროში 2015 წელს გაფორმდა თანამშრომლობის შემდეგი დოკუმენტები:

-„საქართველოს მთავრობასა და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება;

-„საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება;

-„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და უკრაინის კულტურის სამინისტროს ერთობლივი ღონისძიებების გეგმა 2015-2018 წლებისათვის“;

-„საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის კულტურისა და ხელოვნების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება;

-„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცელარიას შორის ხელოვნებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი;

-„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის 2016-2018 წლებისათვის თანამშრომლობის შესახებ“ პროგრამა;

-„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ 2016-2019 წლებისათვის“ ოქმი;

-„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და უნგრეთის ადამიანური რესურსების მართვის სამინისტროს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი;

-„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების სასახლეს (BOZAR) შორის თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება.

სსიპ ილ. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახ. ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის კონცერტი 70 წლისთავთან დაკავშირებით; ფოლკლორული ანსამბლის „საგალობელი“ საიუბილეო კონცერტი; გიული ჩოხელი 80 წლის საიუბილეო კონცერტი; დათო ევგენიძის კონცერტი; ჯემალ ჭკუასელის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი; დათო ხუჯაძის საქველმოქმედო კონცერტი; პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებული კონცერტი; საქველმოქმედო კონცერტი „ნინო ქათამაძე და მეგობრები“; ევგენი კისინის საქველმოქმედო კონცერტი; პროექტი „ფენიქსი“; პროექტი „გალაკტიონობა - 2015“; პროექტი „თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მე-3 საერთაშორისო ფესტივალი“; ანსამბლ „ორერას“ 55 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო გასტროლი; ნუკრი კაპანაძის კონცერტი; ა(ა)იპ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი იავნანას პროექტი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი; პროექტი „თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთ კავკასიური ფესტივალი თბილისში - 2015 წლის პროგრამის“; სსიპ ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის საკონცერტო ტურნე რეგიონებში; პროექტი - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საესტრადო ორკესტრის სახელობითი ვარსკვლავის გახსნა“; პროექტი - გამოფენა - საქართველო ორ-ორ სურათად; პროექტი - „კომედიის ფესტივალი“; სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონის“ 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს რეგიონებში კონცერტები. საქველმოქმედო მართაონი 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულების მხარდასაჭერად. სახალხო ფესტივალი „არტ გენი“; რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი. ააიპ - ნინო სურგულაძის ფონდის „ნატურის ხე“ საქველმოქმედო მართაონი თბილისის საკონცერტო დარბაზში. ლ თუთბერიძის ფილმის „ძველი კატამარანი“ პოსტპროდუქციის წარმოების ეტაპი; გ. ხაინდარავს ფილმის „ოცნებების სასაფლაო“ ციფრულ ფორმატში გადაყვანა და ფირის საქართველოში დაბრუნება; ანსამბლ „ცისფერი ტრიო“-ს შესახებ შექმნილი დოკ.ფილმის ტირაჟირება და ალბომის პრეზენტაცია; ფილმის „მანდარინები“ შემოქმედებითი ჯგუფის „ოსკარის“ ცერემონიაზე მონაწილეობა; კინოპროექტები „ისტორიები საოჯახო ალბომიდან“ და „სიმღერით გამთბარი მიწა“; ჟანრი ლოლაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა; პროექტი „სმენით აღქმულის სუბლიმაცია ვიზუალურ ხელოვნებაში“; ოსური კლასიკური მუსიკის საღამო; გამოფენა „სერგო ფარაჯანოვი -XXI საუკუნის სიზმარი; საქველმოქმედო კონცერტი აუტისტების დასახმარებლად, საქველმოქმედო კონცერტი უსინათლოების დასახმარებლად; ქართული ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა; პროექტი „მინიატურები ევროპულ ღირებულებებზე“, გიული ჭოხონელიძის ბიუსტი

დამზადდა და განთავსდა თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში; გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთვისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, განხორციელდა პროექტი „კიბერგალაქტიონი“, კონცერტების ციკლი „ქართული კამერული მუსიკის პანორამა“.

მანანა მენაბდის შემოქმედებითი საღამო „ჩემი ბავშვობის სახლთან“; გურამ ბზვანელის შემოქმედებითი საღამო; საქველმოქმედო სატელევიზიო აქცია-კონცერტი ჯაბა ბოჯგუას დასახმარებლად-„სიყვარულით ვაკეთოთ კეთილი საქმე“; სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის საგანმანათლებლო კონცერტები საქართველოს რეგიონებში; „LOUDspeakers“-ის საიუბილეო კონცერტი; X საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან აღდგომამდე“; იოსებ ნონეშვილის 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო; პროექტი „სახელოვნებო სკოლები დევნილთა დასახლებებში“; პროექტი „ოტია იოსელიანის სახელობის საკვირაო სკოლა“; პროექტი „ოტია იოსელიანის სახელობის საკვირაო სკოლა“; პროექტი - „ცოცხალი წიგნები“; ხობის მე-7 საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“; კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის საიუბილეო საღამო; ააიპ ხელოვნების ხელშეწყობის ფონდი „ავტოგრაფის“ პროექტი ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტი;

სსიპ - საქართველოს ფოლკლორის ცენტრის“ პროექტები: „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების მოძიება-დაფიქსირება“; „ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნიმუშების დაფიქსირება-საარქივო მასალების შექმნა“; „ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამო - ლქსო არ დაიკარგები“; „ქართული საგალობლების სანოტო ხელნაწერთა მონაცემთა ბაზა და აღწერილობა“; „საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი“; „სვანური ზარი“, როგორც სამგლოვიარო წეს-ჩვეულების ნიმუში“; „ხალხური სიმღერების, საკრავიერი და ქორეოგრაფიული ნიმუშების დაფიქსირება-საარქივო მასალების შექმნა“;

შემუშავდა კულტურის სტრატეგიის გზამკვლევი; ჩატარდა კონფერენციები კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით თბილისში და საქართველოს 8 რეგიონში: მცხეთა-მთიანეთი, ქვემო-ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, აჭარა, სამეგრელო-ზემო-სვანეთი, შიდა ქართლი, სამცხე ჯავახეთი; სტრატეგიის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი მიმართვები დაეგზავნა: პრეზიდენტის აპარატს, დიასპორის სამინისტროს, სახალხო დამცველს, რელიგიის საკითხთა დაცვის სააგენტოს, საპარლამენტო კომიტეტებს, ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს, პოლიტიკურ პარტიებს.

მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში:

- ✓ იტალიაში, ქ. ვენეციის 56-ე საერთაშორისო გამოფენაში პროექტით „მცოცავი საზღვარი“ (იტალია, ქ. ვენეცია);
- ✓ ტალინის მე-19 საერთაშორისო კინოფესტივალზე „Tallinn Black Nights Film Festival“ (ესტონეთი, ქ. ტალინი);
- ✓ მუსიკალურმა ჯგუფის "ETC" მონაწილეობა ნორვეგიაში საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის "GBOB" ფინალურ ტურში (ნორვეგია, ქ. ოსლო);

- ✓ „The Quintessence“ - Chicago World Music Festival-ში (აშშ, ქ. ჩიკაგო), "Harmony Sweepstakes A Cappella Festival"-სა (აშშ, ქ. ნიუ-იორკი) და ტამპერეს ვოკალური მუსიკის ფესტივალში (ფინეთი);
- ✓ სსიპ „საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავი“ იტალიაში (იტალია, ქ. ვატიკანი) გამართულ კონცერტში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ საღამოსა და Meet in Beijing Art Festival პეკინის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში (ჩინეთი, ქ. პეკინი);
- ✓ ქალთა გუნდმა "იალონი" ლიტვაში ვილნიუსის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში "SKAMBA SKAMBA KANKLIAI 2015" (ლიტვა, ქ. ვილნიუსი);
- ✓ სსიპ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედი“ მოსწავლეებმა გერმანიაში, ქ. აახენის პიანისტთა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში (გერმანია, ქ. აახენი);
- ✓ სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასმა ავსტრალიაში "Fringe Wold Festival 2015" სპექტაკლით "კარმენი" (ავსტრალია, ქ. პერთი);
- ✓ თითების თეატრმა თურქეთში (თურქეთი, ქ. იზმირი) იზმირის მეცხრე საერთაშორისო თოჯინების ფესტივალსა და ესტონეთში საერთაშორისო ფესტივალში Tallin Treff (ესტონეთი, ქ. ტალინი);
- ✓ სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ქ. სანკტ-პეტებურგში მე-17 საერთაშორისო ფესტივალში და ქ. ხერსონში მე-17 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში (რუსეთი, ქ. სანკტ-პეტებურგი; უკრაინა, ქ. ხერსონი);
- ✓ სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა“ პოლონეთში, ქ. გდანსკში შექსპირის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში (პოლონეთი, ქ. გდანსკი);
- ✓ სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩეხეთის ქ. ბრნოს თეატრალური სკოლების საერთაშორისო ფესტივალში, წინასაადიპლომო სპექტაკლით "სამი და" (ჩეხეთი, ქ. ბრნო), ქ. სიდემი საერთაშორისო ფესტივალში IFSSAT, სპექტაკლით ჟან ანუის "ანტიგონე" (თურქეთი, ქ. სიდე) და ქ. კიშინიოვის თეატრალური სკოლების საერთაშორისო ფესტივალში სპექტაკლით "ანა ფრანკის დღიური" (მოლდოვა, ქ. კიშინოვი);
- ✓ სსიპ თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა აშშ-ში და სომხეთში, ქ. ერევანში UNIMA-ს საერთაშორისო ფესტივალში სპექტაკლით "იავნანამ რა ჰქმნა" (აშშ, ქ. კოლორადო; სომხეთი, ქ. ერევანი);
- ✓ სამეფო უბნის თეატრმა რუმინეთში სიბიუს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში (რუმინეთი, ქ. სიბიუ);
- ✓ სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანულმა პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ლიტვაში, ქ. იონავაში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში (ლიტვა, ქ. იონავა);
- ✓ "რკინის თეატრმა“ თურქეთში შავი ზღვის მეთექვსმეტე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში (თურქეთი, ქ. ტრაბზონი);
- ✓ სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებმა იტალიასა (იტალია, ქ. ბარი) და

- რუმინეთში (რუმინეთი, ქ. ტინიშოარა) საერთაშორისო საბალეტო ფესტივალში;
- ✓ სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა ქ. ლონდონში პროექტში "არტ-ფემენი-რეკონსტრუქცია 2 აკადემიის ლაბორინთებში", ასევე ქ. პრაღაში პრაღის კვადრიენალეს - The Prague Quadrennial of Performance Design and Space სტუდენტური სექციაში და საერთაშორისო ვორკშოპში: ფლორენციის ზეგავლენა სტუდენტების შემოქმედებაზე (ინგლისი, ქ. ლონდონი; ჩეხეთი, ქ. პრაღა; იტალია, ქ. ფლორენცია);
 - ✓ ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნებმა“ ქ. რომის დაარსებისადმი მიძღვნილ ფესტივალში „Natali di Roma“ (იტალია, ქ. რომი);
 - ✓ გალერეა "Container" მონაწილეობა თანამედროვე ხელოვნების არტ ბაზრობაში "Art Vilnius“ (ლიტვა, ქ. ვილნიუსი);
 - ✓ ანსამბლმა "ქორული" მსოფლიოს ფოლკლორის ფესტივალზე მაკედონიაში (ქ. სკოპიე), ავსტრიაში (ქ. ვენა), ჩეხეთში (ქ. პრაღა) და გერმანიაში (ქ. დრეზდენი);
 - ✓ ქართველმა მუსიკოსებმა ქართულ-ებრაულ ფესტივალში
 - ✓ სსიპ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტები მალტაზე (მალტა, ქ. ვალეტა);
 - ✓ ქართველი მხატვრების გამოფენა ისრაელში ა(ა)იპ "მხატვრების ხელშემწყობთა საზოგადოება" - „ქართულ-ებრაული პროექტი“ (ისრაელი);
 - ✓ შპს „გალერეა მარდენი“ - "ქართული მხატვრობის გამოფენა ისრაელში" (ისრაელი);
 - ✓ სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“-ს გასტროლი უკრაინაში, ქ. ვინიცასა და ქ. პოლტავაში, ასევე სომხეთში, ქ. ვანაძორში (უკრაინა - ქ. ვინიცა და ქ. პოლტავა, სომხეთი, ქ. ვანაძორი);
 - ✓ სსიპ თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის მონაწილეობა ალმატის მე-4 საერთაშორისო თოჯინების ფესტივალში სპექტაკლით „ფერადი ნისლების სანაპირო“ (ყაზახეთი, ქ. ალმაატა);
 - ✓ საქართველოს მონაწილეობა სტამბოლისა და კიევის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეებში „ზღვის წყალი - ფიქრის ფორმის თეორია“ და „კიევის სკოლა“ გამოფენით „ფიქრის ფორმის მანიფესტი - გაუჩინარების გზა“ (თურქეთი, ქ. სტამბოლი; უკრაინა, ქ. კიევი);
 - ✓ ლონდონში, კინოთეატრში REGENT STREET CINEMA ქართული ფილმების რიგით მე-4 ფილმების ფესტივალი „კინოში ასახული ცხოვრება“;
 - ✓ შპს "გალერეა 11"-ის (Gallery 11) მიერ ციურიხში თანამედროვე ხელოვნების გამოფენა (შვეიცარია, ქ. ციურიხი);
 - ✓ სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 3 სტუდენტი - იტალია (ქ. კრისპიანო);
 - ✓ სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ - გერმანია (ქ. ბერლინი);
 - ✓ ეთნო ჯაზ-ჯგუფი „ირიაო“ - ინდონეზია (ქ. ჯაკარტა);

გამოცა: 3 ლიტერატურული ჟურნალის („დილა“, „არილი“, „საუნჯე“) 12-12 ნომერი; ბიოგრაფიული რომანი „უკანასკნელი ცისფერყანწილები-კოლაუ ნადირაძე“; წიგნი „ქართული კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებისთვის“; სახელოვნებო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი; ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ 5 ნომერი; ჟურნალის „მუსიკა“ 4 ნომერი; ჟურნალის „კულტურა პლუს“ 2 ნომერი; წიგნი-ალბომი „ნინო ჯორჯაძე- ქართველი ქალის თვალთ დასახული პირველი მსოფლიო ომი“; მანანა მენაბდის კატალოგი და დისკი; წიგნი-ალბომი „მრავალფეროვანი საქართველო-გერმანელი მხატვრები საქართველოში“; კატალოგი „სუვენირები საქართველოდან“, ალბომი „ისტორიული სცენური სამოსელი“, შ. კაშაძის „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“, აუდიო კრებული „ეს საქართველოა“, ორენოვანი წიგნი-ალბომი „იოსებ სუმბათაშვილი 100“, მ სალუქვაძის რჩეული პიესების კრებული, გამოცა: გ. ალხაზიშვილის თარგმანების კრებული, ე. ონიანის, კ. ჯავახიშვილის, ზ. ქარუმიძის, ნ. ხარატიშვილის, ა. მიცკევიჩის ნაწარმოებები, კრებული თანამედროვე ქართული დრამატურგია, აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, აკაკი წერეთლის VI-X ტომები, აკ. ბაქრაძის „ტკბილი ოცნება და მწარე სინამდვილე“, პლაკატები აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი. გამოცა 9 წიგნი-ალბომი (ლადო ალექსი-მესხიშვილი, გოგი ალექსი-მესხიშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, შალვა ქიქოძე, ბეჟან შველიძე, ჯ. ხუციშვილი, თ. ჯავახიშვილი, „საქართველოს მხატვრები“, თ.გოცაძე, კატალოგი „ძველი ქართული სამკაული“). „მძლევარის“ 20 წლის მოღვაწეობის ამსახველი დისკი და კრებული; ინგა ფერაძის საიუბილეო აუდიო დისკი.

გაიმართა: გორის ქალთა გუნდის გასტროლი ქუთაისსა და ბათუმში; საქართველოს-მუსიკოს-შემსრულებელთა VI-ე კონკურსი; ო. თაქთაქიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო;თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი; გ.ჩლაიძის საგუნდო მუსიკის პრემიერა; ვერდის რეჟიემი და ქართველი ვარსკვლავების გალაკონცერტი;კამერული მუსიკის კონცერტი კონსერვატორიაში; საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების პირველი ეროვნული კონკურსი; საქველმოქმედო აქცია „კლასიკიდან ჯაზურ იმპროვიზაციამდე“; ე. მიქელაძის სახ.საქართველოს სიმფონიური ორკესტრის საიუბილეო სეზონის გახსნა და სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის საკონცერტო-საგასტროლო ტურნე. თბილისის ვიზუალური ხელოვნების ფესტივალი „ატრისტერიუმი“; აკაკი წერეთლის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, მ. მახარაძის საბალეტო სტუდიის სპექტაკლი „მაკნატუნა“. მცხეთის საერთაშორისო ფესტივალი „ხატე საქართველოსთვის“; ბავშვთა და მოზარდთა თბილისის მეორე საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი; საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მე-5 რეგიონალური კონკურსი.

ხელი შეწყო: პროექტებს: წიგნის ხელოვნების ცენტრის საქმიანობას (ცენტრმა მოამზადა საბავშვო და საყმაწვილო წიგნის ფესტივალის პროექტი, მონაწილეობა მიიღო ზაარბრიუკენის წიგნის ბაზრობაზე, გამოაცხადა კონკურსი საბავშვო ილუსტრაციისა და არტ-წიგნის სფეროში); პროექტს ვიზუალური ხელოვნების ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი „არტისტერიუმი-8“; კოსტა ხეთაგუროვის ლექსების ქართულ-ოსურენოვანი კრებულის გამოცემას და პრეზენტაციას; „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩები-ტრადიციის შენარჩუნებას“; საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის საქმიანობას,

საქართველოს ყრუთა კავშირის საქმიანობას; პროექტებს „ხელოვნება ინტეგრაციისთვის“ და „პარაორკესტრი“; უსინათლო შშმ პირებისათვის ქართული ლიტერატურის ნიმუშების აუდიო ჩანაწერების გამოცემას, პროექტს „შშმ პირების ოცნებების რეალიზაცია თოჯინების თეატრთან ერთად“. დ. ცინცადის ფილმის „მეგობარი“ პოსტპროდუქციის წარმოების ეტაპის დასრულებას; პროექტს „კინო სკოლაში“; საბავშვო ს/კ „ჯიფონი“; საბავშვო ანიმაციის განვითარებას; 21-ე ს-ის ქართული ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციას; საზაფხულო კინოსკოლას; ფილმის „შიდკაცა“ ციფრულ ფორმატში გადატანას; კლასიკური გიტარის შემსრულებელთა მე-3 კონკურსს; ლ. ათანელის შემოქმედებით სადამოს; ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემას; ბავშვებისთვის მუსიკალური თოჯინური სპექტაკლის „მუსიკალური ცისარტყელა“ დადგმას; კრებულის „ტრადიციული მრავალხმიანობა“ გამოცემას; კონკურსს „ახალი ქართული პიესა“, თანამედროვე თეატრალური ხელოვნების ცენტრის საქმიანობას (შეიქმნა 5 პიესა და მის საფუძველზე დაიდგა 5 სპექტაკლი); ალ. გრიბოედოვის სახ. თეატრის საიუბილეო ღონისძიებებს; ალექსი ალექსიძის გამოფენას; ზ. ურუშაძის ფილმის „პარაბელუმი“ და გ. ოვაშვილის ფილმის „ხიბულა“ გადაღებას; პროექტს „ქართული მოდერნიზმი - მსოფლიო კულტურის ნაწილი“, ნ. კირთაძის პროექტს „მზიანი ღამე - პატრიარქი“ მე-3 ტომის გამოსაცემად მომზადებას, ვ. კოტეტიშვილის რჩეული სონეტების გამოცემას, ასევე გამოცემებს: „მესხური ფოლკლორი“, ტიციან ტაბიძის რჩეული ორტომეულის, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო-ალბომი „დავით სარაჯიშვილი“, „ქართული ლექსი - მე-20 საუკუნე“, კრებული „გახლეჩილი ქვეყანა - 50 მოთხრობა ორი გერმანიიდან“, ვ. კოტეტიშვილის საიუბილეო სადამოს; ქართული თეატრის დღის და ჭიათურის თეატრის 120 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას; სოფელ დიცში ჯაზური მუსიკის სადამოს. ცხოვრება“, „მუსიკა“, საგანმანათლებლო-საზოგადოებრივი „კულტურა პლუსი“;

დასრულდა სამუშაოები: სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაციისათვის; სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციისთვის; სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხარჯთაღრიცხვისა და საინჟინრო პროექტის მომზადების, კარ-ფანჯრების შეცვლის, სახურავის გადახურვის, სცენის იატაკის აღდგენისა და სადრენაჟო-საკანალიზაციო სისტემის მოწყობის შესახებ. ასევე, სსიპ თბილისის ე.მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრის, სსიპ ზ.ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის ნიჭიერთა ათწლეულის, სსიპ ვ.ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რომელსაც უზრუნველყოფს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ტექნიკური აღჭურვილობის შეძენისა და შეკეთების შესახებ; სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დენის მეორადი კვების წყაროს აღდგენისთვის; სსიპ - ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული

სახელმწიფო დრამატული თეატრის სახურავზე და შენობაში ჩასატარებელი სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ; სსიპ – მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის მაცურებელთა ფოიეში ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესახებ; სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის - ხელოვნების სასახლის სახურავზე და შენობაში ჩასატარებელი სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოებისთვის; სსიპ – მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის მთავარი შენობის გადახურვის სამუშაოების ჩატარების შესახებ; სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის; სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლისათვის „ერისიონი“ კოსტიუმების რკინის საკიდების შექმნის შესახებ; სსიპ - ქ. ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის განათების აპარატურის ინსტალაციის შესახებ; სსიპ – ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაცურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის „ბაში-აჩუკის“ მიხედვით სასცენო ვერსიის განსახორციელებლად საჭირო დამატებითი ტექნოლოგიის შექმნის შესახებ. სსიპ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის საოფისე და საერთო სარგებლობის ფართის სარემონტო სამუშაოებისთვის; სსიპ - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის; სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მალურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის სარემონტო სამუშაოებისთვის; სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობაში შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსების შესახებ; სსიპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ევგენი მიქელაძის სახელობის ქ. თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის შენობაში შიდა სარემონტო სამუშაოების დაფინანსების შესახებ; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კაპიტალური ხარჯების დაფარვის შესახებ; სსიპ – ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობისათვის საჭირო საინჟინრო საპროექტო სამუშაოების ჩატარება; სსიპ - მწერალთა სახლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება; სსიპ – მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის საგრიბიორების დერეფანისა და წყლის მილების შესაკეთებლად; სსიპ - ქ. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის 120 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაუდებელი საჭიროების ტექნიკური აღჭურვილობის შექმნის შესახებ; სსიპ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის რუსთაველის გამზირის მხრიდან კიბის ბაქნის სამშენებლო-ჰიდროსაინჟინერო და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საგამოფენო სივრცის სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ; სსიპ - ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ დაუმთავრებელი მიშენების ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟის განხორციელებისათვის. აღნიშნული პროექტები ხორციელდება შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ. ასევე, ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს ჩაუყრის კაპიტალური კუთხით საშუალო ვადიანი დაგეგმვის შესაბამის შესრულებას და მიზნობრიობას.

დასახული საბოლოო შედეგები

ქართული კულტურის მაქსიმალური პოპულარიზაცია საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში, ასევე მის საზღვრებს გარეთ; ახალი მიღწევებითა და თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შევსების შესაძლებლობა და კულტურული ფასეულობების პოპულარიზაცია; საქართველოს რეგიონებში ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ფესტივალების, კონკურსების, კონცერტების, გამოფენებისა და მასტერკლასების მოწყობა-ორგანიზება, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ და უცხოელ ხელოვანთა მოწვევა, საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოების, ახალი იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა; საქართველოს რეგიონების კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

საქართველომ, როგორც უნიკალური და უძველესი კულტურით, ასევე თანამედროვე კულტურით ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიო კულტურის სივრცეში; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები დაამყარა სხვა ქვეყნებთან; საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჯგუფებში ქვეყნისადმი პოზიტიური განწყობა ამაღლდა; საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში განხორციელებული ახალი დადგმებით, გასტროლებით, კონცერტებით, კონკურსებით, ფესტივალებით, გამოფენებით, კინოფილმების ჩვენებით, ახალი წიგნებით, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩინებით, კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრირებით საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობა ამაღლდა, გემოვნების დახვეწა და ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა განხორციელდა; გაუთვალისწინებელი პრობლემებისა და კრიზისების წარმატებული მართვა; კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი

საზღვარგარეთ ჩატარებული საქართველოს კულტურის პრეზენტაციის დღეების რაოდენობა 2 (ქ. ბონში იუნესკოს 39-ე სესიაზე საქართველოს პრეზენტაცია; ქ. გდანსკში ქართული კულტურის კვირეული);

ეროვნულ უმცირესობათა კულტურის განვითარების მხარდამჭერი პროექტების რაოდენობა (5);

განხორციელებული ღონისძიებებისადმი მასმედიის, საზოგადოების ინტერესის, ღონისძიებებზე დამსწრეთა (776 342 კაცი) რეალიზებული ბილეთების, მათ შორის, ტურისტების დასწრების მაჩვენებლები;

რაოდენობა საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული მუსიკალური ფესტივალების (34), კინოფესტივალების (13), კონცერტების (429), სპექტაკლების (2 514), გამოფენების (38), გასტროლის (8), ახალი გადაღებული ფილმები (4), შემოქმედებითი საღამო-კონცერტის (80), კონკურსის (26), განხორციელებული ღონისძიებების (126), გამოცემების: წიგნი (61), ჟურნალი (6); ქართველ ხელოვანთა მიღწევები (ქვეყნის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებაში 1 329 ქართველმა ხელოვანმა მიიღო მონაწილეობა), მათი აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე და დადებითი გამოხმაურება მედიაში;

გაფორმდა საერთაშორისო ხელშეკრულებები (9).

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება არ არის დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის.

2.3. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა 3304

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების% წლიური დაზუსტებ. გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან % მიმართ. თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
33 04	პროგრამა-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	16 748.0	22 075.8	22 052.7	99.9%	5481.0
33 04 01	ქვეპროგრამა-მუზეუმების ხელშეწყობა	10 248.0	10 788.6	10 691.3	99.0%	4676.5
33 04 02	ქვეპროგრამა-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	6 500.0	11 287.2	11 361.4	100.6%	804.5

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

პროგრამის აღწერა და მიზანი

მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა;

საქართველოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დაცვა და პოპულარიზაცია. ინფრასტრუქტურის განვითარება, სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო ღონისძიებების განხორციელება;

სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;

UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

დასახული საბოლოო შედეგები

რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები; მოეწყო მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება; მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურის განვითარება; კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა;
2. რესტავრირებული კულტურული ძეგლებისა და ექსპონატების რაოდენობა.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება არ არის დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის.

2.3.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი – მუზეუმების ხელშეწყობა-330401

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

დასრულდა სამუშაოები: სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საგვარეულო ბიბლიოთეკისთვის სტელაჟების დასამზადებლად; სსიპ მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის ფონდსაცავის მოწყობისა და მეორე სართულის რემონტისთვის; სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმისთვის ტენიანობისა და ტემპერატურის მარეგულირებელი დანადგარების შესაძენად; სსიპ - ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის ტექნიკური აღჭურვისთვის (3 გამათბობელის შეძენა და მონტაჟი); სსიპ - საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისთვის; სსიპ - ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროექტის - საქართველოს მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-კონსერვაციისთვის (320 ექსპონატი); სსიპ - ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის საგამოფენო დარბაზების ჭერის კაპიტალური რემონტისთვის; სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის ღია ცის ქვეშ მუზეუმში ოსური სახლის რეაბილიტაციისთვის (I ეტაპი).

გამოიცა: ააიპ - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გზამკვლევი; სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ მომზადებული წიგნი - „პირველი ქართველი მესურათხატე ალექსანდრე როინიშვილი და მისი მუზეუმი“; „სახელმძღვანელო გიდებისთვის“ (მეთოდოლოგიური ლიტერატურა).

განხორციელდა: სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის - ხელოვნების სასახლის ქართული კინოს დარბაზის რეაბილიტაციისა და კომპიუტერული ქსელის შექმნისთვის; სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის - ხელოვნების სასახლის სარესტავრაციო სახელოსნოსთვის გილიოტინის შეძენა და ფოტოფონდისთვის სტელაჟების დამზადება; სსიპ - აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის დედისეული შენობის (სასტუმრო სახლი) რეაბილიტაცია; სსიპ - ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფის სამუშაოების ჩატარება; სსიპ - ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო სივრცისა და ფონდსაცავის კონდიციონირება; სსიპ - ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის პროექტი - დარბაზის და საფონდო ოთახის სარემონტო სამუშაოები და კარადების შეძენა უცხოელი პარტნიორების მიერ მუზეუმისთვის უნიკალური წიგნებისთვის; სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის მიერ სერგო ქობულაძის საოპერო ფარდის აღდგენისათვის საჭირო საარქივო და სამუზეუმო მასალის მოძიება-შეძენისთვის ხელშეწყობა;

მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით: სსიპ - „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ ახალციხის მუზეუმში გამოფენის „სინთეზური ხელოვნება-მხატვრის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ მოწყობა; ჩატარდა ორი საერთაშორისო კონფერენცია - 1. „პოსტსაბჭოთა ქვეყნების მუზეუმების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“; „ლიტერატურა, მუსიკა და კულტურული მემკვიდრეობა“ (ICOM-ის ლიტერატურის მუზეუმების კომიტეტის თანადაფინანსებით); სსიპ -

„მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის“ დამაარსებლის მიხეილ შენგელიას 100 წლის იუბილეს მოსამზადებელი სამუშაოები; ტრენინგი - საქართველოს მუზეუმების წარმომადგენლებისთვის თემაზე: „მუზეუმებში დამატებითი სახსრების მოზიდვის საკითხები“; საერთაშორისო ვორქშოპი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მუზეუმების წარმომადგენლებისთვის თემაზე: „Fundraising - მარკეტინგი და კომერციული აქტივობები მუზეუმებში“; მუზეუმებში ერთიანი საადრიცხო ელექტრონული სისტემის (eGMCIS) პროგრამის შემუშავების პირველი ეტაპი.

დასახული შუალედური შედეგები

მუზეუმების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; მუზეუმებში დაცული ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვის მიზნით სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება; მუზეუმებში მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის მიზნით მუზეუმის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებისათვის ტრენინგებისა და ვორქშოპების ჩატარება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა; საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ერთობლივი პროექტების შემუშავება, ქვეყნის მუზეუმების ინფორმირება საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში მიმდინარე სიახლეებზე; მუზეუმების პოპულარიზაციის მიზნით გზამკვლელებისა და კატალოგების გამოცემა, ახალი ექსპოზიციების მოწყობისათვის ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

ხელი შეეწყო მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას; სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის განვითარების მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები და ვორქშოპი; მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვის მიზნით მიღებულ იქნა პრევენციული ზომები - რესტავრაცია-კონსერვაცია ჩატარდა მუზეუმებში დაცულ განსაკუთრებით დაზიანებულ სხვადასხვა სახეობის ექსპონატებს; მუზეუმების პოპულარიზაციისა და სამუზეუმო ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის მიზნით, განხორციელდა საზოგადოების მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები და მოეწყო გამოფენები; საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან ურთიერთთანამშრომლობით შემუშავდა ერთობლივი პროექტები, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო სამუზეუმო სფეროში აღიარებულმა ექსპერტებმა, რითაც ხელი შეეწყო ქვეყანაში სამუზეუმო რეფორმის ქმედით განხორციელებას და საქართველოს მუზეუმების ეტაპობრივ გადასვლას საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა (590 000);
სხვადასხვა მიმართულების აქტივობის განხორციელება (782)
მუზეუმებში დაცული რესტავრირებული ექსპონატების რაოდენობა (320);
მუზეუმების რეაბილიტირებული საექსპოზიციო დარბაზების და ფონდსაცავების რაოდენობა (15);
სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვისა (eGMCIS) და მართვის მოქნილი, ერთიანი სისტემის შექმნის პირველი ეტაპის დასრულება.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება არ არის დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის.

2.3.2 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი – კულტურული მემკვიდრეობის დაცვა 330402

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასება, რეაბილიტაციის საკვლევ-საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფა
მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემდეგი ძეგლების რეაბილიტაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაცია: ქ. თბილისი, ნორაშენის ტაძრის რეაბილიტაციის კორექტირებული პროექტი; ზემო სვანეთის კოშკების წინა საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ახალციხის მუნიციპალიტეტი, აწყურის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტის სრულყოფისათვის დამატებითი გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და ტაძრის სეისმდეგობის კვლევა; თბილისი, აღმაშენებლის ქ. #103 თოჯინების თეატრის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია (I ეტაპი); ქ. ზუგდიდი, დადიანების სასახლის ბოტანიკური პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; ახალციხის მუნიციპალიტეტი, აწყურის ციხის რეაბილიტაციის პროექტი; მცხეთის ჯვრის ქვის კონსერვაციის წინა საპროექტო დოკუმენტაცია; თბილისი, აღმაშენებლის ქ. #127 რკინიგზელთა სახლი; რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #49 ჭაბუკიანის საბალეტო სკოლა; რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; თბილისი, რუსთაველის ქ. #19 თეატრალური ინსტიტუტი. რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. #8 ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; ქ. სიღნაღი, თამარ მეფის ქ. N10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; კასპის მუნიციპალიტეტი, გრაკლიანი გორის დაზვერვითი არქეოლოგიური კვლევა;

ასპინძის მუნიციპალიტეტი, ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ კომპლექსში ბერთაყანების დაზვერვითი არქეოლოგიური კვლევები; დმანისის მუნიციპალიტეტი, აბულმუგის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი; მარნეულის მუნიციპალიტეტი, წოფის დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი; თბილისი, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის დაზიანებული გუმბათის გადახურვის რეაბილიტაციის პროექტი; თბილისი, წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან არსებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის პროექტი; თბილისი, ახალგაზრდობის სასახლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი; ხობის მონასტრის სასახლის რეაბილიტაციის პროექტი; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, მაჭის ციხე, დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, წყაროსთავის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი; ქ. თბილისი, ზემო ბეთლემის ეკლესიის სახურავის რეაბილიტაციის პროექტი. მარტყოფის ღვთაების მონასტრის ჩრდილოეთის მკლავის სამირკვლის გამაგრების პროექტი; კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოვლე, აკვედუკის რეაბილიტაციის პროექტი; ციხე დიდი (მეგვი) არქეოლოგიის დამცავი გადახურვის პროექტი; დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნადიბაანი. ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი; მეორე ტოლა, დარბაზული ეკლესიის რესტავრაციის პროექტი; კაწარეთის სამების დაზიანებული სვეტების კონსოლიდაციის პროექტი; მესტიის მუნიციპალიტეტი. ზემო სვანეთის 5 კოშკის რეაბილიტაციის პროექტი; ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბორითი, წმ. გიორგის ეკლესიის მცირე სარეაბილიტაციო პროექტი; გრაკლიანის არქეოლოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი; ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო პროექტი; სოფ. დართლო, შენობა #70, წმ. გიორგის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი; საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. სხვიტორში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის შენობის (როსტომისეული სასახლე) და მის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; აწყურის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; ვარძიის ინტერიერში ფრესკებზე გაჩენილი ახალი მცენარეული საფარის გაჩენის გამო დამატებითი კვლევები; ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, კუმურდოს გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი; კვიპროსში ღალიის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიისა და ქ. ლარნაკის შემოგარენის ისტორიულ ნაწილის ინვენტარიზაცია; კვიპროსში ღალიის სამონასტრო კომპლექსის 3D ლაზერული სკანირება და არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების მომზადება; ქ. მცხეთა, სამთავროს მაცხოვრის ტაძრის საკურთხევლის ფერწერისა და საშენი მასალის (ინტერიერი) წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; ვარძიის ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთ აფსიდის კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება, წინასაპროექტო კვლევა და ტაძრის ინტერიერში წარმოდგენილი მხატვრობის სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, ჭელიშის უდაბნოს ღვთისმშობლის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, გელათის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური ობიექტის გადახურვის მოსაწყობად საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და გენერალური გეგმის კორექტირება;

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის კედლის მხატვრობის კონსერვაცია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით დასრულდა მიმდინარე წელს დაგეგმილი შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კონსერვაცია და არქეოლოგიური შესწავლა: ვარძიის კომპლექსის საკვლევ-საექსპოზიციო ბაზის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, დავით გარეჯის დოდო რქის სამონასტრო კომპლექსის ახალგამოვლენილი დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაციის პირველადი გადაუდებელი სამუშაოები; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, დავით გარეჯის დოდორქის სამონასტრო კომპლექსის ახლადგამოვლენილი დარბაზული ეკლესიის კედლის მოხატულობის პირველადი გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები; ქ. მცხეთა, ბებრის-ციხის სუბსტრუქციის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები (III ეტაპი); ახმეტის მუნიციპალიტეტი, ალავერდის საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილი არქეოლოგიური ნაშთების კონსერვაცია; ასპინძის მუნიციპალიტეტი, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმის მულტიდისციპლინარული კომპლექსური კვლევებისა და შესაბამისი ფიზიკური სამუშაოების განხორციელების ფარგლებში გარეგანათების მოწყობილობების მონტაჟის სამუშაოები; ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვირიკეს ჯამეს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; აჭარა, გონიოს ციხის ტერიტორიაზე არსებული წმ. მატათას საფლავის მოწყობა; ჭიათურის მუნიციპალიტეტი, კაცხის ეკლესიის სამრეკლოს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; კასპის მუნიციპალიტეტი, „გრაკლიანი გორას“ სატაძრო კომპლექსის არქეოლოგია; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, წმინდა დოდო გარეჯელის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგია; ქ.მცხეთა, არმაზისხევის პიტიახშების კომპლექსის არქეოლოგია; ქ.მცხეთა, ბაგინეთის არგეოლოგია; გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზიარის „ადგილი ქოდალო“-ს არქეოლოგია; ხვამლის მთის არქეოლოგია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, გეგუთის სასახლის არქეოლოგია; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი „დიდნაურის“ ნაქალაქარის არქეოლოგია; ქ. სიღნაღი, თამარ მეფის ქ. N10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველადი გადაუდებელი ღონისძიებები; ახმეტის მუნიციპალიტეტი, ალავერდის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები; კასპის მუნიციპალიტეტი, „გრაკლიანი გორის“ კომპლექსის არქეოლოგია და გამოვლენილი ნამოსახლარის კონსერვაცია; ქარელის მუნიციპალიტეტი, „ბერიკლდეები“-ს არქეოლოგიური სამუშაოები; გორის მუნიციპალიტეტი, ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ტაძრის სამხრეთ ფასადის ქვის კონსერვაცია და სამხრეთ კონქის დროებითი სახურავის და წყალამრიდი სისტემის მოწყობის სამუშაოები; ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზემო მსხალგორის ნაქალაქარის და ეკლესიის არქეოლოგია; სენაკის მუნიციპალიტეტი, ნოქალაქევის არქეოლოგია; მესტიის მუნიციპალიტეტი, სვანური კოშკების და მაჩუბების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ. თბილისი, ანჩისხატის ტაძრის რეაბილიტაცია (II ეტაპი); მესტიის მუნიციპალიტეტი, უშგულის თემი, სოფ. ჩაქაში არსებული ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი); ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა ციხესულორის არქეოლოგიური სამუშაოები; ყვარლის მუნიციპალიტეტი, დოლოჭოპის არქეოლოგია და კონსერვაცია

(II ეტაპი); წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სქურის რეაბილიტაცია (II ეტაპი); მარტვილის მუნიციპალიტეტი, ნოდას ციხის რეაბილიტაცია (I ეტაპი); დუშეთის მუნიციპალიტეტი, მუცოს ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი);

ასპინძის მუნიციპალიტეტი, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმის მულტიდისციპლინარული კომპლექსური კვლევებისა და შესაბამისი ფიზიკური სამუშაოების განხორციელების ფარგლებში საინჟინრო და სამშენებლო სამუშაოები; გვირაბის გამაგრებითი სამუშაოები ბურღვითი მეთოდით, ლითონის დამცავი ბადის მოწყობა კლდეზე, ახალგამოვლენილი გვირაბების არქეოლოგიის გაწმენდითი სამუშაოები, საპირფარეშოს, წყლის და კანალიზაციის სისტემების მოწყობა: ქ. თბილისი, მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის ფასადების რეაბილიტაცია (II ეტაპი); მესტიის მუნიციპალიტეტი, ადიშის ლაჩანაშის წმ. გიორგის ეკლესიის სახურავის რეაბილიტაცია; კასპის მუნიციპალიტეტი, „გრაკლიანი გორის“ არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობა (I ეტაპი); ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, კლდისუბნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია (I ეტაპი); ქ. ზუგდიდი, დადიანების კომპლექსი, ნიკო დადიანის სასახლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია (I ეტაპი); ასპინძის მუნიციპალიტეტი, შორეთის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია (I ეტაპი); გორის მუნიციპალიტეტი, ატენის სიონის ტაძრის გარემომოსავალ ბაქანზე ლითონის მოაჯირის მოწყობა; სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი ჯიხაში ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (I ეტაპი); ქ. სენაკი, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაცია (I ეტაპი); თიანეთის მუნიციპალიტეტი, დაბა თიანეთი, მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია; ახალციხის მუნიციპალიტეტი, თისელის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაცია; ახალციხის მუნიციპალიტეტი, საფარის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის რეაბილიტაცია (II ეტაპი); ხაშურის მუნიციპალიტეტი, ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაცია (III ეტაპი); ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. თაიას „ოსინდალე“-ს ეკლესიის ცენტრალური დარბაზის ინტერიერის ქვის საპირე წყობის გადაუდებელი რეაბილიტაცია; მესტიის მუნიციპალიტეტი, დაბა მესტიის ლეხთაგის უბანში მდებარე ხერგიანების საგვარეულო საცხოვრისის გალავნის გადაუდებელი-სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჭიათურის მუნიციპალიტეტი, კაცხის სვეტზე არსებული სატრაპეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები; სენაკის მუნიციპალიტეტი, ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგია; აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციისათვის საჭირო არქეოლოგია; სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ბოდბის წმ. გიორგის (წმ. ნინოს) ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები (იატაკის მოწყობა II ეტაპი); სოფელ გვალდას (მესტიის მუნიციპალიტეტი) მთაზე არსებული ეკლესიის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამთავროს მონასტერში, ღირსი მამა გაბრიელის აღმსარებლის და სალოსის წმინდა ცხედრის საბოლოო განსასვენებლის მოწყობის სამუშაოები; გორის მუნიციპალიტეტი, გუდაბერტყას არქეოლოგიური სამუშაოები.

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის კვლევით და სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ღონისძიებები

საერთაშორისო უმაღლესი რანგის ექსპერტების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს: ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის კომპლექსური კვლევა - მონიტორინგის 2 ეტაპის განხორციელება.

აღნიშნული დროისათვის უკვე შემუშავებულია წყლის აცილების მართვის პროექტი; საშიში შერჩეული უბნების გამაგრების პროექტები; გრძელდება ვარძიის გეოლოგიური მდგრადობის კვლევა-მონიტორინგი მეტეო და სეისმო დანადგარების მეშვეობით; ასევე, ვარძიის ამგები ქანების ფიზიკო-ქიმიური კვლევა.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო უმაღლესი რანგის ექსპერტების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით:

დასრულდა: ვარძიის კლდეში ნაგები კომპლექსის გეოლოგიური კვლევა; სეისმო და მეტეო სადგურების ინსტალაცია; გვირაბის გამაგრების პროექტი; ვარძიის ფერდზე წყლის მართვა-აცილების პროექტი;

მიმდინარეობს: მოწყვლადი უბნების ბადით გამაგრების პროექტის მომზადება; ვარძიის გვირაბის ფიზიკური გამაგრებების სამუშაოები; კომპლექსის მდგომარეობის კომპლექსური მონიტორინგის განხორციელება; ლოკალური სეისმური ქსელის ინსტალაციას ვარძიის კომპლექსის სხვადასხვა დონეზე; გამოქვაბულებში მიკროკლიმატის მონიტორინგის განხორციელება; საიტის გეოლოგიური და გეომექანიკური კვლევა; ვარძიის ფერდზე ჩამონადენი წყლის მართვა-აცილების სისტემის მუშა პროექტის მომზადება; ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მულტიდისციპლინარული კვლევების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა; რადარის მონაცემების ანალიზი და დამუშავების გაგრძელება.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული კვლევების შედეგად 2015 წელს განხორციელდა ვარძიის კომპლექსის ყველაზე რთული და მოწყვლადი უბნის, გვირაბის გამაგრება-კონსოლიდაციის სამუშაოები, რომლის თეორიულ მეთოდოლოგიის დადგენას და ფიზიკური სამუშაოების ზედამხედველობას ახორციელებდნენ უცხოელი ექსპერტები.

UNESCO - ს კონვენციების ინპლემენტაცია და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება

UNESCO -ს მიერ მოთხოვნილი ღონისძიებები: მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესაბამისად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მიაწოდა მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფი ძეგლების: მცხეთის ისტორიული ძეგლების, ბაგრატის საკათედრო ტაძრისა და გელთის მონასტრის კონსერვაციის მდგომარეობის შეფასების ანგარიშები; მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში რეგიონალური განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში მიმდინარე იმერეთის რეგიონის რეაბილიტაცია-განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე - გელათის სამონასტრო კომპლექსში დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისთვის მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და შესაბამისი რეკომენდაციების მიღება. გელათის

მონასტერზე მიმდინარე საკონსერვაციო სამუშაოების შეფასების მიზნით სააგენტოს მიერ მოწვეულ იქნა იკომოსის ექსპერტი ბ-ნ ალკივიადეს პრეპისი. ვიზიტი განხორციელდა მსოფლიო ბანკის ექსპერტთან, ბ-ნ ჯორჯო კროჩისთან ერთად; მუდმივ რეჟიმში გრძელდება მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციით განსაზღვრული წესისამებრ შესაბამისი დოკუმენტაციის იუნესკოს ცენტრისათვის მიწოდება; ასევე მიმდინარეობს თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან იმ ინფრასტრუქტურული/საკონსერვაციო პროექტებთან მიმართებაში, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებს ეხება; მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და მის მრჩეველ ორგანოებთან: იკრომთან და იკომოსთან - საფრთხეში მყოფი ქართული ძეგლების საკონსერვაციო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. საანგარიშო პერიოდში მომზადდა და განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ქვეყნისათვის წლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებაზე - მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 39-ე სესიაზე (ბონი, გერმანია) სამუშაო ვიზიტი, სადაც დღის წესრიგში დევს საფრთხის ქვეშ მყოფი 2 ქართული ძეგლის - მცხეთის ისტორიული ძეგლებისა და ბაგრატის საკათედრო ტაძრისა და გელათის მონასტრის საკონსერვაციო მდგომარეობის - განხილვა-შეფასების საკითხები; საანგარიშო პერიოდში მომზადდა და განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ქვეყნისათვის წლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებაზე - მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 39-ე სესიაზე (ბონი, გერმანია) სამუშაო ვიზიტი, სადაც დღის წესრიგში დევს საფრთხის ქვეშ მყოფი 2 ქართული ძეგლის - მცხეთის ისტორიული ძეგლებისა და ბაგრატის საკათედრო ტაძრისა და გელათის მონასტრის საკონსერვაციო მდგომარეობის - განხილვა-შეფასების საკითხები.

დასრულდა ევროკავშირის დახმარების პროგრამის, TWINNING-ის პროექტის განხორციელება;

Courtauld Institute of Art (London), Conservation of Wall Painting Department - კურტოს საკონსერვაციო ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში კედლის მხატვრობის კონსერვაციისა და შესაბამისი სატრენინგო კურსის განხორციელება: კედლის მხატვრობის კონსერვაციის სფეროში მსოფლიოში აღიარებული ორგანიზაციის - ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით და თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტთან თანამშრომლობით, მიმდინარე წელს დასრულდა ვარძიის ღმრთისშობლის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობის წინასაპროექტო კვლევითი სამუშაოები. ამ სამუშაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტების სწავლება და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება კედლის მხატვრობის კონსერვაციის განხრით.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვა, ინვენტარიზაცია და პოპულარიზაცია

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული რეალობის გათვალისწინებით, აგრეთვე ქართველებისთვის ენის, როგორც კულტურის ფუნდამენტისა და კულტურის მატარებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე „ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალ კულტურას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის კატეგორია მიენიჭა და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის ნომინაციაზე წარსადგენად; მიმდინარე წლის 9-11 მარტს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მონაწილეობა მიიღო იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური კავშირის საანგარიშო კონფერენციაში, სადაც საქართველო მიიღეს აღმოსავლეთ-ევროპის კავშირის წევრად. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღმოსავლეთ ევროპის კავშირში გაერთიანებულია 12 ქვეყანა: ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, ბოსნია, ჰერცეგოვინა, ალბანეთი, სომხეთი, კვიპროსი, მონტენეგრო, სერბია, სლოვენია, მაკედონია. საბერძნეთი და საქართველო აღნიშნულ კავშირს წლევანდელ კონფერენციაზე მიუერთდა. ორგანიზაციაში გაწევრიანება საქართველოს საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერთოს აღნიშნულ ფორმატში და ითანამშრომლოს საერთაშორისო პროექტებში; დასრულდა უფროსკლასელთა კონკურსი „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“. გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, სიგელები, მათივე ნაშრომების საფუძველზე მომზადებული ილუსტრირებული ბროშურები. კონკურსის მხარდამჭერები იყვნენ: კულტურისა და ძეგლთა დაცვის, განათლებისა და მეცნიერების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები; მომზადდა და დაიბეჭდა ილუსტრირებული ბროშურა „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“; მიმდინარეობს მუშაობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად შემდეგ ელემენტებზე: „ვეფხისტყაოსნის ზეპირად გადმოცემის ტრადიცია“; ჩურჩხელა - დამზადების ტექნოლოგია; კახური ქუდის დამზადების ტექნოლოგია; დედას პური - დამზადების ტექნოლოგია; სვანური ქალთა ფერხულები; სვანური ხარხული საკრავის ჩანგის - დამზადების ტექნოლოგია; ოჯახის უფროსი - „ქორა-მანშვის“ ინსტიტუტის ტრადიცია სვანეთში; ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტრადიციები ზემო სვანეთში - სასარგებლო წყლები; დაკრძალვისა და მიცვალებილისადმი პატივის მიგების ტრადიცია ზემო სვანეთში; დასრულდა პროექტი „ასპინძის მუნიციპალიტეტში ხერთვისი- ვარძია-ოლოდას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პირველადი ინვენტარიზაცია“.

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და განვითარება: დასრულდა 2015 წელს დაგეგმილი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული მრავალფეროვანი მემკვიდრეობის, კერძოდ, გერმანული კოლონიების ისტორიული დასახლებების, მათი ურბანული ქსოვილის, საკულტო და საერო, მათ შორის საზოგადოებრივი, ინდუსტრიული თუ საცხოვრებელი არქიტექტურის უნიკალური ნიმუშების ინვენტარიზაცია-დოკუმენტირება; ასევე, იმ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიცირება, რომელთაც გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევები ესაჭიროებათ;

განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ოსმალური ძეგლების მონიტორინგი; მიმდინარე წელს გრძელდება პროექტი "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის შექმნა" და საინფორმაციო სისტემების არქივის მონაცემთა ბაზის შევსება. 2015 წლის 6-11 სექტემბერს განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ნორვეგიაში, ქ. ოსლოში, სადაც გააცნეს ნორვეგიელ ექსპერტებს მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და თითოეული კომპონენტის შინაარსი. ერთობლივი მუშაობის შედეგად განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი ეროვნული სივრცითი მონაცემთა ბაზის და ნორვეგიის მოძრავი და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზების შედარებითი ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი სამომავლოდ მონაცემთა ბაზის განვითარების მიმართულებით; მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის გის მონაცემთა ბაზაში მონაცემების (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები/ობიექტები, მოძრავი ძეგლები/ობიექტები, კედლის მხატვრობა და ქვაზე კვეთილობა) შეყვანა და მუდმივ რეჟიმში გამოცდა; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მონაწილეობს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნაში. 17 დეკემბერს გაიმართა კონფერენცია "საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები და გამოწვევები"; განხორციელდა ტრენინგი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამსახურების, მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ბაზასთან მუშაობის მიმართულებით.

მუზეუმ-ნაკრძალები და სამუზეუმო ექსპოზიციები

მუზეუმ-ნაკრძალების/მუზეუმების გადაუდებელი რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და კეთილმოწყობისათვის საჭირო ღირებულებები: დასრულდა ქ. ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის შენობის სარემონტო და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები (II ეტაპი); მომზადდა მცხეთის მუნიციპალიტეტი, არმაზისხევი, პიტიახშთა კომპლექსში საექსპოზიციო დარბაზის პროექტი; ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში განხორციელდა საგამოფენო დარბაზების რეაბილიტაცია მირზაანში; 2015 წლის 29 აპრილს ქ. გორში გაიხსნა დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციული შენობა და მის ბაზაზე კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი. შენობაში მოწყობილია ექსპოზიცია, რომელიც დიდი და პატარა ლიახვის აუზის მდიდარ ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებს წარმოაჩენს.

გამოცემების სერია სახელწოდებით – „მუზეუმი, ისტორია, არტეფაქტი“: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განაგრძობს გამოცემების სერიას სახელწოდებით – „მუზეუმი, ისტორია, არტეფაქტი“, რომელიც სააგენტოს მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებთან ერთად გაგვაცნობს მათ ისტორიას და ამ ისტორიასთან დაკავშირებულ ექსპონატებს. 2015 წელს აღნიშნული სერიის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა: „ნიკო ფიროსმანაშვილის პირადი საქმე“, „ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი“.

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ფიროსმანის ორი ნამუშევარის – „შოთა რუსთაველი“ და „ქალი საადღგომო კვერცხებით“ რესტავრაცია: ფიროსმანის სარესტავრაციო ნამუშევრებზე – „შოთა რუსთაველი“ და „ქალი საადღგომო კვერცხებით“, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ძეგლებზე, შედგა კვლევითი და საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა აღდგენითი სამუშაოები. რესტავრირებული სურათები 2015 წლის 24 სექტემბერს დაბრუნდა მირზაანში.

სამუზეუმო გამოფენები: ფოტოგამოფენა „ძველსა და ახალ ბორჯომში“ - 2015 წლის 23 იანვარს, საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ფოტოგამოფენა „ძველსა და ახალ ბორჯომში“; **გამოფენა „ფიროსმანი მირზაანის მუზეუმის კოლექციიდან“**-2015 წლის 15 მარტს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით – „ფიროსმანი მირზაანის მუზეუმის კოლექციიდან“; დასრულდა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ფიროსმანის ორი ნამუშევარის – „შოთა რუსთაველი“ და „ქალი საადღგომო კვერცხებით“ რესტავრაცია; მიმდინარე წლის 25 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოეწყო ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ლადო გუდიაშვილის, სოლომონ გერშოვის, თენგიზ მირზაშვილის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის, ალექსანდრე ბაჟბუქ-მელიქოვის, უჩა ჯაფარიძის, ქეთევან მაღალაშვილის, ყარამან ქუთათელაძის, ნათელა იანქოშვილის, დიმიტრი ერისთავის, ზურაბ წერეთელის, გრიგოლ ჩირინაშვილის, ვანო მელიაშვილის დღემდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ნამუშევრები; გამოფენა ქართული ბრენდი „ბორჯომი“ - მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოსა და კომპანია „ბორჯომის“ მინერალური წყლის ინდუსტრიული წარმოების 125 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ერთობლივი გამოფენა. ექსპოზიციისთვის გამოყენებულია დოკუმენტური და ნარატიული წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა, XIX-XX საუკუნეების ფოტომასალა.

დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის გვიანბრინჯაოს ხანის საცხოვრებელი კომპლექსისა (სამთავროს ნამოსახლარი) და მცხეთის მუზეუმში დაცული ექსპონატების სკანირება და ვირტუალური რეკონსტრუქცია (II ეტაპი): დასრულდა დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის გვიანბრინჯაოს ხანის საცხოვრებელი კომპლექსისა (სამთავროს ნამოსახლარი) და მცხეთის მუზეუმში დაცული ექსპონატების სკანირება და ვირტუალური რეკონსტრუქცია (II ეტაპი).

კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია: დასრულდა ქართულ დასურათებულ ხელნაწერთა (IX- XIXსს) გაფორმებაში ჩართული მინიატურების მონაცემთა ბაზის შექმნისათვის საჭირო ღონისძიებების II ეტაპი; ნოქალაქეში მოეწყო არქეოლოგიური ველი და მომზადდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი

პროგრამა “საბავშვო არქეოლოგია”; განხორციელდა პროექტი - “კახეთის მხარის მოსწავლეები-კულტურული მემკვიდრეობის დესპანები”.

კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით მომზადდა და დაიბეჭდა შემდეგი გამოცემები: გამოიცა: კატალოგი - „წიგნის ილუსტრაცია XX საუკუნეში“, ყოველწლიური ჟურნალი - „ძველი ხელოვნება დღეს“ მორიგი ნომერი, წიგნი - “ქუთაისის არქეოლოგია”; მომზადდა: ელექტრონული ჟურნალი - „ონლაინ არქეოლოგია“, კრებული - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014-2015 წლის ანგარიში“.

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის „კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში (149,5 ათასი ლარი) განხორციელებული ღონისძიებები: 2015 წელს განხორციელდა შემდეგი პროექტები: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის სისტემისა და კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული სისტემის (GIS) შექმნა და შემდგომი განვითარება (ეტაპი), შედეგად, დასრულებულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი გეოსაინფორმაციო პორტალის მომზადება, საცდელ რეჟიმში აეწყო კავშირი და მონაცემთა მიმოსვლა ცენტრალურ მონაცემთა ბაზასა და გარე მომხმარებელს შორის. ვორქშოფები პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, კერძოდ: ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის მართვის გეგმის განვითარების, ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის ნანგრევების კონსერვაციისა და ნოქალაქევის „ხის სახლის“ აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით.

მცირე და საშუალო ისტორიული ქალაქების მართვის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში გაიმართა 2 საერთაშორისო კონფერენცია - ქ. ჭიათურასა და თბილისში, რომელიც შეეხო: ინდუსტრიული მემკვიდრეობის მართვისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამართლებრივი დარღვევების აღმოფხვრის მექანიზმებს.

დასახული შუალედური შედეგები:

1. რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნება განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები და განხორციელდება ტერიტორიის მოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის მიზნით შეიქმნება საპროექტო დოკუმენტაცია და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასდება რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა;
3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემები აისახება საინფორმაციო სივრცეში;
4. განხორციელდება ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება;
5. მომზადდება მასალები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგები:

1. რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები და განხორციელდა ტერიტორიის მოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის მიზნით შეიქმნა საპროექტო დოკუმენტაცია და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასდა რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა;
3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემების ასახვა საინფორმაციო სივრცეში;
4. განხორციელდა ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება;
5. მომზადდა მასალები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე 100-მდე მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი;

მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული 12 ტრენინგი;

კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით გამოცემული 10-მდე სახეობის ნაბეჭდი პროდუქცია;

ვიზიტორთა რაოდენობის 47 %-ით გაზრდა წინა წელთან შედარებით და კულტურული მემკვიდრეობისადმი საზოგადოების ინტერესი.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება არ არის დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის.